



საქართველო

Deloitte Legal

24 მარტი 2021

## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

### იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

#### ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის №423 ბრძანებაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №45 ბრძანებით, 2021 წლის 2 მარტს ძალაში შევიდა ცვლილებები „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №423 ბრძანებაში.

ბრძანებაში შესული ცვლილებებით განისაზღვრა საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებზე ცალმხრივი წინასწარი შეთანხმების გაფორმების ინსტრუქცია - ამ დრომდე ამ საკითხზე არ არსებობდა დეტალური სახელმძღვანელო. მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო ოპერაციაზე ცალმხრივი წინასწარი შეთანხმებისთვის აუცილებელი ოპერაციის მოცულობას. კერძოდ, ცვლილებების ამოქმედებამდე, კომპანიას უფლება ჰქონდა ოპერაციაზე ცალმხრივი წინასწარი შეთანხმებისთვის მიემართა საგადასახადო ორგანოსთვის, რისთვისაც საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციის თანხას უნდა გადაეჭარბებინა 50,000,000 ლარისთვის, ხოლო ცვლილებების შემდეგ აღნიშნული ლიმიტი გაუქმდა.

აღსანიშნავია, რომ ცალმხრივი წინასწარი შეთანხმების აქტი ფორმდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებსაც ხელს აწერენ, ერთის მხრივ, შემოსავლების სამსახურის უფროსი და, მეორეს მხრივ, საქართველოს საწარმო/საქართველოს საწარმოს წარმომადგენელი.

ასევე, საქართველოს საწარმო, რომელმაც გააფორმა ოპერაციების შეფასების წინასწარი შეთანხმება შემოსავლების სამსახურთან, ვალდებულია, შეთანხმებით მოცული პერიოდის თითოეული კალენდარული წლის მიხედვით, მომდევნო წლის 1 აპრილამდე შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ცალმხრივი წინასწარი შეთანხმების შესაბამისობის წლიური ანგარიში.

### ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში

2021 წლის მარტის თვეში ცვლილებები შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“. ცვლილებების თანახმად, თუ თანხა სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებულია საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე და ანაზღაურების მომენტში თანხის მიმღები პირი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციამდე მიღებულ ანაზღაურებასთან მიმართებაში, დღგ-ით დაბეგვრის დროს წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის მომენტი. ამასთან, ცვლილებებით შემოღებულ იქნა ახალი დებულება საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციასთან და უძრავი ნივთის მიწოდებასთან დაკავშირებით. ბრძანებას დაემატა ახალი დებულებები საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენებისა და საკუთარი ძირითადი საშუალების (შენობის-ნაგებობის) რემონტის შემთხვევებთან დაკავშირებით.

### აღსრულების კოდექსი

2021 წლის 22 თებერვალს საქართველოს პარლამენტში ინიცირებულ იქნა აღსრულების კოდექსის კანონპროექტი, რომლის მიზანია ჩაანაცვლოს საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“. აღსრულების კოდექსის პროექტის შექმნის მთავარ მიზანს წარმოადგენს აღსრულების სფეროში ერთიანი, სისტემატიზებული სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავება.

კანონპროექტით წესრიგდება აღსაღსრულებელი დოკუმენტების აღსრულების პროცესი, განისაზღვრება საქართველოს აღმასრულებელთა პალატის მოწყობისა და საქმიანობის, აგრეთვე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მომსახურების გაწევის წესი და პირობები.

კანონპროექტით უქმდება „აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლისა“ და „კერძო აღმასრულებლის“ ინსტიტუტები და ყალიბდება აღსრულების სრულიად ახალი სისტემა. ამ სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია აღმასრულებელთა პალატა, რომლის შემადგენლობაში შედის ყველა აღმასრულებელი.

აღსრულების ეროვნული ბიურო შეინარჩუნებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს. მისი ძირითადი უფლებამოსილება იქნება აღმასრულებელთა საქმიანობაზე განახორციელოს მუდმივი დისციპლინური, ეკონომიკური და სამართლებრივი ზედამხედველობა, აღმასრულებელთა პალატისთვის/აღმასრულებლისთვის შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, გაუწიოს მომსახურება.

კანონპროექტი ითვალისწინებს ახლებულ წესებს აუქციონის ჩატარების საკითხებზე, მაგალითად: აუქციონის შეწყვეტა შესაძლებელი იქნება მისი გამოცხადების და შემდგომ ეტაპებზეც. კერძოდ, თუ მოვალე აუქციონის დასრულებამდე სრულად დაფარავს არსებულ ვალდებულებას ან თუ აუქციონის მიმდინარეობისას გამოვლინდება ისეთი ფაქტორები გარეობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს აუქციონის შედეგზე და რომელიც საჭიროებს საკითხის დამატებით შესწავლასა და გამოკვლევას და ა.შ.

იცვლება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების წესებიც – სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასამართლოს მიერ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობის საფუძველზე. ამდენად, თუ დგას სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების საჭიროება, ადმინისტრაციული ორგანოს მომართვით ან საკუთარი ინიციატივით აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე აღსრულების შეჩერების შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელმაც შეიძლება შეაჩეროს აღსრულება არაუმეტეს ექვსი თვის ვადით.

დამატებით, კანონპროექტი ითვალისწინებს სააღსრულებო წარმოების მონაწილე პირების ინფორმირების წესსა და პროცედურებს (ამჟამად პირთა შეტყობინებისათვის გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები); სააღსრულებო შეთანხმებას, რომელიც გულისხმობს ფულად მოთხოვნებთან დაკავშირებით მხარეთა უფლებამოსილებას, აღსრულების ეტაპზე, სასამართლოს გარეშე, გააფორმონ სააღსრულებო შეთანხმება; მოძრავი და უძრავი ქონების დაყადაღებისა და შეფასების მარეგულირებელ სპეციალურ წესებს და სხვა.


# საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)



**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

## თბილისი

### ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული  
თბილისი, 0171,  
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

[deloitte.ge](http://deloitte.ge)

## deloitte.ge

### დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 330 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.